№ 71 აპრილი 3, კვირა 1888 აპრილი 3, კვირა № 71

# ივერია

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 70 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ [illegible], ახალ ზუბალოვის ქუჩ., სახლი № 9, [illegible] საგაზეთოს. გოლოვინის პროსპექტზე, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1888 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877 1888

ორშაბათს, 4 აპრილს,
სადგილ-მამულო ბანკის თეატრში
ბ-ნი ი. მეუნარგია წაიკითხავს პირველს ლექციას
**თ. გრ. ორბელიანზე**
ლექცია დაიწყება საღამოს 8½ საათზე.

სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, თავადი ივანე რამაზის ძე ანდრონიკაშვილი, იწვევს სიღნაღის თავად-აზნაურობას, რომ ამ წლის 20-ს მაისს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ჩვეულებრივი კრება იქნება და ამისათვის ვსთხოვ თავად-აზნაურთ, მობრძანდნენ სამაზრო კრებაზედ ქალაქს სიღნაღში 8 აპრილისათვის, კლუბში, დილის ათს საათზედ, სხვა-და-სხვა განკარგულებათა დასადგენად. ამასთანავე თავად-აზნაურთ უნდა წარმოადგინონ მოწმობანი და საარჩევანო საბუთების ქაღალდები. (3—3)

ბანკის თეატრში

კვირას, 3 აპრილს, იქნება
1-ლი სასიმღერო კრება ტფილისის სამუსიკო საზოგადოებისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ზარუდნაია, ბ-ნი ლოდი, გორსკი და ოპერის ორკესტრი იპოლიტოვ-ივანოვის ლოტბარობით.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

ტფილისის დამოქნაში

აპრილის 5 და შემდეგს რიცხვებში გაიყიდება აუქციონით 33 სპარსული ხალიჩა და სხვა-და-სხვა ქსოვილები. (1—1)

ტფილისი, 2 აპრილი

უკვე გადაწყვეტილი და გამოცხადებულია, რომ ბ-ნი ი. მეუნარგია წაიკითხავს თავის ლექციებს თ. გრ. ორბელიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. თითოეული გონიერი ქართველი თუ არ დიდის სიხარულით და სიამოვნებით, სხვაფრივ ვერ მიეგებება ჩვენს ცხოვრებაში ამ არა-ჩვეულებრივს გარემოებას, რომელმაც ნათელი უნდა მოჰფინოს ერთის დიდად ნიჭიერის პოეტის ცხოვრებასა და თავ-გადასავალსა. არა ნაკლებად სასიამოვნოა ისა, რომ შესაძლოა მეუნარგიას განზრახვამ ერთი ფეხის ნაბიჯი მაინც წინ წაადგმევინოს ჩვენს თვითმცნობელობას და მეტი სიყვარული და ყურადღება აღძრას ჩვენს საზოგადოებაში საზოგადო მოღვაწეთა და მწერალთა მიმართ; შესაძლოა, მეუნარგიამ გააგებინოს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადო მოღვაწისა და ან მწერლის ცხოვრების საფუძვლიანად შესწავლას საზოგადო ვითარების გამოსაძიებლად და გამოსარკვევლად.

რაც უფრო დაწინაურებულია რომლისამე საზოგადოების აზრი და მწერლობა, მით უფრო მომეტებულს ყურადღებას ათხოვებენ მწერლისა და საზოგადო მოქმედის ავისა და კარგის შესწავლას. თითოეულ გამოჩენილის კაცის ცხოვრებას დიდის გულმოდგინებით იძიებენ, აგროვებენ ყოველს საჭირო მასალას და მრავალს წელიწადს ანდომებენ ამ საგანსა; ყოველსავე გარემოებას, რამდენადაც უნდა მცირე და, პირველის შეხედვით, უმნიშვნელო იყოს იგი, დიდის ყურადღებით ეპყრობიან, რადგანაც ასე თუ ისე ის გარემოება ნათელსა ჰფენს ერთს რომელსამე მხარეს გამოჩენილის კაცის ვითარებისას. ნადირ-მყოფი ადამიანიც-კი პატივსა სცემს რითიმე გამოჩენილს კაცს, მაგალითად, კარგს მეომარს, მონადირეს, გმირსა და გამჭრიახის ჭკუის პატრონსა; ეს პატივისცემა იმოდენად ძლიერია, რომ თაყვანებად იქცევა და გამოჩენილს კაცს ნადირ-მყოფი ადამიანი ღვთაებად მიიჩნევს ხოლმე. დაწინაურებული ადამიანი-კი გარდა იმისა, რომ პატივსა სცემს დიდებულს, გამოჩენილს კაცსა, კრიტიკულის თვალითაც უყურებს იმას, ავსა და კარგს არჩევს და, რამდენადაც უფრო გამოჩენილი და სახელოვანია რომელიმე მოღვაწე, მით უფრო ძლიერი და ღრმაა კრიტიკული სჯა იმის შესახებ.

რა არის იმის მიზეზი, რომ ასეთის ძლიერის ყურადღებით ეკიდებიან გამოჩენილის კაცის ცხოვრებისა, მოღვაწეობისა და ხასიათის შესწავლას და გამორკვევას? რა არის იმის მიზეზი, რომ ყოველთვის და ყოველგან ადამიანთ გამოჩენილის კაცისაკენ მიპყრობილი აქვთ ყურადღება? ნუ თუ ამის მიზეზი მხოლოდ უბრალო ცნობის-მოყვარეობაა, რომელიც ყმაწვილს რომელსამე ფერადს საგნისათვის წაავლებინებს ხელს და ასინჯვინებს, ან რომელსამე არა-ჩვეულებრივს ამბავს, ზღაპარს მოასმენინებს? არა, აქ მიზეზი სხვაა, უფრო რთულია და ამ რთულის მიზეზის შესახებ გვინდა გავუმართოთ მკითხველს საუბარი.

წარმოიდგინეთ უბრალო ადამიანი, რომელიც სხვა ადამიანებისაგან ბევრით არაფრით განირჩევა, არც ჭკუით, არც ხასიათით და არც განათლებით. რამდენადაც ნაკლებად განირჩევა ეს ადამიანი სხვებისაგან, მით უფრო ნაკლებად იპყრობს საზოგადოების ყურადღებას; ამ გვარის ადამიანის ცხოვრებას და მოღვაწეობას, რაკი ეს ცხოვრება და მოღვაწეობა არა-ჩვეულებრივს არაფერს შეიცავს, არ შეუძლიან მიიზიდოს საზოგადო ყურადღება, რომელიც ყოველთვის ეძებს არა-ჩვეულებრივს მოვლენას, გარემოებასა.

რამდენადაც უფრო განსხვავდება ადამიანი სხვებისაგან, მით უფრო თვალ-საჩინოა იგი, მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ამ განსხვავებას, განსაკუთრებულს თვისებას ადამიანისას. აი ეს განსაკუთრებული თვისება ჰქმნის ადამიანს გამოჩენილ მოღვაწედ, მწერლად, დიდ სარდლად და სხვადა, და რომლისამე გამოჩენილის კაცის ცხოვრების შესწავლას უმთავრესად საგნადა აქვს შეიგნოს ეს განსაკუთრებული თვისება, განსხვავება და ამისათვის საჭიროა გამოიძიოს მთელი ვითარება გამოჩენილის კაცისა. ავიღოთ მაგალითად რომელიმე დიდებული და სახელოვანი მწერალი. თქვენ უნდა შეიტყოთ, რა ვითარებამ შეჰქმნა და გამოიწვია იმის მოღვაწეობა, რისგან შეზავდა და დაიწნა იმის ხასიათი და გრძნობაგონება, როგორი ზედ-მოქმედება იქონია იმის მოღვაწეობამ ერთობ მწერლობასა და საზოგადოდ აზრის მიმდინარეობაზე. უნდა გამოიძიოთ და მონახოთ ის ძაფები, რომელიც გაბმულია იმ მწერალსა და საზოგადოებასა და ან ერსა შორის. რამდენადაც უფრო გამოჩენილია რომელიმე მწერალი, მით უფრო მრავალი და სხვა-და-სხვა გვარია ის ძაფები, მით უფრო ძლიერი და მრავალი დამოკიდებულება და განწყობილება აქვს იმ გამოჩენილს მწერალს ან მოღვაწეს საზოგადოებისა, ერის წარსულის, აწმყოს და მომავალს ვითარებასთან, მით უფრო ხშირი და ვრცელი ბადე აქვს გაბმული ცხოვრებაში. ჩვეულებრივს ადამიანს-კი, ზოგჯერ, მხოლოდ ფიზიოლოგიური, ზო-

## ფელეტონი

### ქართველთა შორის

ჩვენი მწიგნობრობა. —ათის წლის წინადა და ეხლა. —ჩვენი ყბა-ღიაობა. —რა თვალით უყურებენ ქართულს ნაწერებს?—უცნაური წერილი.

იმ დროს, როდესაც წიგნმა დაიმორჩილა ევროპის ოდესღაც შეუპოვარი და ხმალზე მაყურებელი ხალხი, როდესაც წიგნი გახდა საყვარელი მწვრთნელი და გზა-მაჩვენებელი ევროპიელის ჭკუისა და გონებისა, როდესაც უწიგნო კაცს თითქმის აღარა ფასი არა აქვს საზოგადოების თვალში და თვით ცხოვრებაშიაც, — სწორედ ამ დროს ჩვენი ხალხი წიგნს მხოლოდ ალმაცერად უყურებს და მომეტებულ ბარგად მიაჩნია. როდესაც ევროპიელ გლეხსაც-კი მოეპოვება თავისი საკუთარი ბიბლიოთეკა, სადაც ოცობითა და ასობით უწყვია თხზულებანი თავის საყვარელ მწერალთა და მოცალეობის დროს ჭკუასა სწავლობს იმათის ნაწერებით, — სწორედ ამ დროს ჩვენში არა თუ გლეხის ოჯახში, ხშირად თავად-აზნაურისას და თვით წიგნის მცოდნე კაცისას ვერ მოსძებნით სამს დაბეჭდილს სტრიქონსა, გინდა მთელი სახლი ძირს გადმოაბრუნოთ, საგულისგულოდ გადასჩხრიკოთ და გადააქოთოთ.

ჩვენში მხოლოდ თითო-ოროლა თუ მოიძებნება «თავიდამ ხელ-აღებული», რომელსაცა სწამს წიგნი და იმისი მნიშვნელობა გონებისა და გულის გაწვრთნაში, „თავიდამ ხელ-აღებული“, რომელიც თავის ცოდნას, გამოცდილებასა და აზრს ამოწმებს წიგნის მოძღვრებასთან. ასეთი ქართველი კაცი არა თუ სოფლად, თვით ქალაქშიაც იშვიათია და ამიტომ ყბად-აღებულია და თითით საჩვენებელი. «დამჯდარა სახლშიო — გეტყვიან დაცინვით ასეთს კაცზე — და ჩაჰკირკიტებს წიგნსა, თითქო რაღაც დაჰკარგვია და იქ ეძებსო. მაგის საქმე სწორედ ცუდად უნდა იყოსო. მართალია, არავის რას უშავებს, ჭკვათა-მყოფელივითაცა ლაპარაკობს, მაგრამ ეგ ვერ არის კაი ნიშანი — თუ არ უქმი კაცი, აბა წიგნისათვის ვინ მოიცლისო»...

ჩვენდა საუბედუროდ, ასეთ უბედურს ვარსკვლავზე დაბადებული ქართველი ძალიან იშვიათია. თითებზედაც ჩამოსთვლი, ვინც არიან. ქართველთა უმეტესობა თუ კითხულობს, გამუდმებით-კი არა, — ისე, შემთხვევით, როცა სხვა უფრო „უკეთესი საგანი“ არა გამოუჩნდება-რა ცხოვრებაში, და ეს «უკეთესი საგანიც» გახლავთ უგემური დროს-გატარება უგემურ ნაცნობთა და მეგობართა შორის და ჩვეულებრივ ან დუქანში, ან სასტუმროში, ან ეგრედ-წოდებულ კლუბებში. რადგან ეს «უკეთესი საგანი» თითქმის მუდამ ხელთა აქვს ჩვენს მწიგნობარს, ამიტომ, რასაკვირველია, არც წიგნისათვის-ღა სცალიან. ან რად უნდა წიგნი, რაში გამოიყენებს? წიგნი იმისთანა კაცს უნდა, ვინც აზრითა ცხოვრობს, ვინც ჭკუითა ჰმოქმედობს და ერთხელაც მოუფიქრებელს ნაბიჯს არ გადასდგამს ცხოვრების მოედანზედ. სადაც აზრს არა აქვს ადგილი, სადაც კაცის ჭკუას არა აქვს ხალისი უკეთესად ამოქმედოს ხელი, ერთის სიტყვით, სადაც ყოველივე ერთხელ როდისღაც გაყვანილ არხში ჩამდგარა და მიმდინარეობს, იქ წიგნი უფროს-ერთისათვის ძალა-უნებურად მეტი ბარგი უნდა იყოს. ასეც არის დღეს ჩვენში. წიგნთა და მკითხველთა მეტ-ნაკლებობით გაიზომება ხალხის წარმატება, იმის ცხოვრების ავი და კარგი.

**

აგერ მარტის გასულს სწორედ ათი წელიწადი შესრულდება მას აქეთ, რაც ჩვენს ქვეყანაში დაარსდა პირველი ქართული წიგნის მაღაზია. ათის წლის წინად აქა-იქ შემთხვევით თუ ჰნახავდით გასასყიდად ქართულს წიგნსა და ამიტომ შეუძლებელი საქმე იყო გაგემართათ თქვენთვის ქართული საოჯახო ბიბლიოთეკა. ან რა წიგნები იბეჭდებოდა მაშინ და ან რას შეადგენდა რიცხვი ათის წლის წინ დაბეჭდილ წიგნებისა! პირველი წიგნის მაღაზია გამართა ბ-ნმა ჩარკვიანმა და იმის საცოდავ «მაღაზიაში» თითქმის ყოველი ქართული წიგნი მოიპოვებოდა. წარმოიდგინეთ, რომ 32 მანათად შეგეძლოთ გეყიდნათ თვითოეული ცალი ყოველ დაბეჭდილ წიგნისა ქართულს ენაზედ!.. ეს იყო ჩვენის ჭკუის სალარო ამ ათის წლის წინად: რაღაც სამ თუმნადა და ორ მანათად შეიძენდით ქართველთა ჭკუის ნაშრომსა და ნაამაგარსა!..

ნუღარას იტყვით თვით ამ წიგნების მაღაზიის ყოფაზედ, სადაც სამის თუმნითა და ორის მანათით მოიპოვებდით მთელს ბიბლიოთეკასა, ასე რომ ერთი წიგნიც არ გაკლდებოდათ არც ანგარიშში და არც თვალში!

აგერ გაიარა ათმა წელიწადმა, ხსენებული მაღაზია იძენდა ყოველს წიგნსა, რომელიც-კი იბეჭდებოდა ქართულს ენაზედ. მერე რასა ვხედავთ? — დღეს თორმეტი თუმანი რომ დაჰხარჯოთ, ხელთ გექნებათ ყოველივე ნაწარმოები ქართულის კალმისა, ცალკე წიგნად დაბეჭდილი. მაშასადამე, ამ ათის წლის განმავლობაში ქართულს ენაზედ გამოსულა კიდევ რვა თუმნისა და რვა მანათის წიგნი, ერთის სიტყვით, უმატნია ერთი ოთხად.

ეს არის ჩვენი ეხლანდელი ავლადიდება, ამისი პატრონები ვართ დღესა. ორთა-შუა რიცხვით რომ ვიანგარიშოთ, ბიბლიოთეკისთვის სასყიდელი წელიწადში შეგვმატებია რვა მანათისა და ოთხის აბაზის წიგნი, არც მეტი და არც ნაკლები. ორ მილიონზე მომეტებული კაცი ლაპარაკობს ქართულს ენაზედ და ამოდენა ხალხს წელიწადში რაღაც რვა-ცხრა მანათის წიგნები ეძლევა სასყიდლად საოჯახო ბიბლიოთეკისათვის, მაშინ როდესაც დაწინაურებულ ქვეყნების ამოდენავე ხალხში კაცს ასი თუმანიც ძლივს ეყოფა, რომ შეიძინოს ყოველი წიგნი, რომელიც ერთს წელიწადს დაიბეჭდება. და ამ განსხვავებას ჩვენა ვხედავთ მაშინ, როცა თვითო წიგნის ფასსა ვანგარიშობთ. განსხვავება უფრო დიდი გამოვა, რო-

ოლოგიური დამოკიდებულება აქვს საზოგადოებასთან. ღრმა გონება, ძლიერი ხასიათი ყურადღებას ათხოვებს ყოველს საჭიროებას საზოგადოებისას და ასე თუ ისე ყოველს საქმეში სტოვებს საკუთარს კვალსა, რომელიც სამუდამოდ თუ არ არის აღბეჭდილი, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში მაინცა რჩება. დიდ-ბუნებოვანი კაცი და რომელიმე თვალ-საჩინო გარემოება თითქო ერთმანეთს ეძებენ: ერთი იმისთვის, რომ მეორეს ხელი ჩასჭიდოს, და მეორე იმისთვის, რომ პირველს ხელში ჩაუვარდეს და ამ ხელის დაღი და კვალი დაიჩნიოს. ერთის სიტყვით, დიდ-ბუნებოვანი კაცი მოწადინებულია აწარმოვოს ის განსაკუთრებული თვისება, რომელიც ბუნებიდგან დაყოლილია და მრავალ და რთულ გარემოებათა მიერ შექმნილი და შემუშავებულია.

აქედგან ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დიდებულის კაცის ცხოვრებისა და ვითარების შესწავლას. რაკი ამ კაცს მრავალი და რთული განწყობილება და დამოკიდებულება აქვს საზოგადოებასთან და ერთან, ცხადია, რომ იმის ცხოვრებისა და ვითარების შესწავლას შეუძლიან ნათელი მოჰფინოს ერის ცხოვრებას, აგვიხსნას მრავალი რთული გარემოება და გავლენა, აზრის მიმდინარეობა, ესე იგი, გამოჩენილის კაცის ცხოვრებისა და ვინაობის შესწავლა თვით საზოგადოების ცხოვრებისა და ვითარების ძიება და შესწავლაა, რაიცა შეადგენს უმთავრესს საგანს თვით-ცნობიერის საზოგადოებისას. მაშასადამე, რამდენადაც უფრო რთული და მრავალ გვარი ყოფილა ადამიანის ცხოვრება და მოღვაწეობა, მით უფრო ყურადღების ღირსია იგი და სწორედ ამიტომაც ეგეთის გულ-მოდგინებით და ბეჯითობით ეგიდებიან ყველგან დიდ-ბუნებოვან კაცთა ცხოვრებისა და ვინაობის შესწავლას.

მკითხველი, უეჭველია, დაგვეთანხმება, რომ კაცობრიობის ისტორიაში დიდ-ბუნებოვან და სახელოვან კაცთა დიდი და საპატიო ადგილი უჭერიათ, რომ რამდენადაც უფრო მაღლა სდგას ადამიანი გონებით, ზნეობით და ხასიათით, მით უფრო ძლიერი ზედ-მოქმედება აქვს ცხოვრებასა და ისტორიაზე, მით უფრო დიდი წვლილი შეაქვს კაცობრიობის სალაროში და ამით ჰქმნის თვით ისტორიასაც.

იმ აზრისდა მიხედვით, რომელიც ჩვენ ამ წერილში წარმოვსთქვით, უნდა ავწონ-დავწონოთ თითოეულის საზოგადოდ გამოჩენილის კაცისა და კერძოდ ჩვენის პოეტის გრ. ორბელიანის ცხოვრება და მოღვაწეობა. ამ აზრისავე მიხედვით უნდა გავჩხრიკოთ და დავაფასოთ ბ-ნ ი. მეუნარგიას ლექციები და რამდენადაც უფრო დაწვრილებით და საბუთიანად განმარტავს მეუნარგია ორბელიანის ცხოვრებასა და ვინაობას, მით უფრო დიდი იქმნება იმისი სამსახური საზოგადოებისა და მწერლობის წინაშე.

ა. ნა—ლი

## ახალი ამბავი

*** ახალ-ქალაქიდამ გვწერს ბ-ნი ილია ალხაზიშვილი შემდეგს სამწუხარო ამბავსა: 28 მარტს [illegible] აქ ამბავი, რომ ვარძიის მონასტრის წინამძღვარს, მამა კალისტრატეს, შეემთხვა საშინელი უბედურებაო. როგორც მოგეხსენებათ, მამა კალისტრატე საშინელი მხნე და მშრომელი კაცი იყო. მონასტრის გასამშვენიერებლად და იმის არე-მარეს განსაკეთილებლად არ აკლებდა თავის მოღვაწეობას. აი ამ ჟამადაც მონასტრის დასწვრივ, მტკვრის პირზედ, დიდის ვაი-ვაგლახით მებატონეთ გამოართვა უწინდელის მონასტრის საკუთარის მამულიდამ ერთი ბოხჩა ალაგი და ამ ალაგზე აპირებდა ბაღის გამართვას მონასტრის კრებულისათვის.

ამ ალაგის გასაგანიერებლად დაუწყო ბრძოლა თოფის წამლით საშინელს კლდეებს და საქმე კარგადაც მიდიოდა, მაგრამ გუშინ სალამოთი შემდეგი უბედურება დაემართა: ერთმა ლაღუმმა ჩვეულებისამებრ ვერ იფეთქა თავის დროზედ, რისთვისაც მამა კალისტრატემ მიჰგზავნა კაცი მიზეზის გასაგებად. ამ კაცმა უთხრა, რომ არაფრის ნიშანი არ არისო, მიწით გავსილა ხვრელი და თოფის წამალი ვერ იფეთქებსო. მაშინ გულმა ვერ გაუძლო მამა კალისტრატეს, მივიდა თითონ და, ვიდრე გაჰინჯავდა მიწას, რომელიც თოფის წამალსა ჰქონდა ზემოდამ წაყრილი, დაიძახა უცბად საშინელმა ლაღუმმა, იფეთქა და თითონ მამა კალისტრატეც მაღლა აისროლა ჰაერში. მარჯვენა ხელი მოსწყდა და ცოტაზე-ღა ჰკიდია, პირი-სახე საშინლად დასახიჩრებული აქვს და სასიკვდილოდ არის გადადებული.

პირველი შემწეობა ავად თუ კარგად იქვე თავის მოსამსახურეს აღმოეჩინა. ბევრის წვალების შემდეგ სისხლი შეეწყვიტა და დღეს ახალ-ქალაქიდამ სამხედრო ექიმი მივაშველეთ ცხენით საჩქაროზედ. ახალციხეშიც მაზრის უფროსს, ნ. ალექსი-მესხიშვილს, მივწერეთ დეპეშა, რომ დაეხმაროს და უპატრონოს როგორც ბერს, ისე იმის სარჩო-ქონებას.

ექიმი ჯერ არ დაბრუნებულა. დაწვრილებით ამ ამბავს შემდეგის ფოსტით გაცნობებთ.

*** გუშინ-წინ, 1-ლ აპრილს, სალამოს, ვერაზე შემდეგი უბედურება მოხდა: ტერ-ასატუროვის წუმწუმის ქარხნის მუშას, მიხა გოგილაძეს (თამაზაშვილს), გამოეტანა ქარხნიდგან წუმწუმის სხვა-და-სხვა მასალა და მისულიყო «კირილეს» დუქნის წინ. აქ მიხამ წამალს ხელით ფხვნა დაუწყო და ცალკ-ცალკე ქაღალდებში ჰყრიდა შეშხუნებისათვის. ამ დროს წამალმა იფეთქა და საბრალო მიხა გადაისროლა, მარჯვენა ხელი მოამტვრია და თითებიც დაავგლიჯა, სამი თითი მარჯვენაზე და ცერი მარცხენაზე. წამალმა ისე ძლიერად იფეთქა, რომ ერთს მუშას, რომელიც ერთის საქენის სიშორეზე იდგა ამ ადგილიდგან, ცხვირ-პირი დაუსისხლიანა; ერთს სხვა მუშას კიდევ ხელები დაუზიანა და დუქანში ფანჯრები სრულიად დაამსხვრია. მიხა გოგილაძე საავადმყოფოში წაიყვანეს.

*** მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ ხვალ, ორშაბათს, საადგილ-მამულო ბანკის თეატრში იქნება წაკითხული პირველი ლექცია თავ. **გრ. ორბელიანზე.**

*** დირექტორი პირველის კლასიკურის გიმნაზიისა აცხადებს, რომ 1 ივლისიდამ სრულიად გაუქმდება გიმნაზიაში მოსამზადებელი კლასებიო. ეხლა ამ მოსამზადებელს კლასებში ირიცხება 83 შეგირდი. ვინც ამათგანი დაიჭერს ეგზამენს 1 ივნისისათვის და გადავა პირველს კლასში, ხომ კარგი; ვინც ვერ დაიჭერს, იძულებული იქნება თავი დაანებოს გიმნაზიასა. ამას გარდა, რადგან პირველს კლასში 110 კაცია ეხლა, გარეშე ყმაწვილებს ვერავის დავაჭერინებთ სექტემბრისათვის ეგზამენსა და, ვინც ამის ნება ითხოვეთ, უკანვე წაიღეთ თქვენი თხოვნა და საბუთებიო.

*** ტფილისის ქუჩებზე და ბაღებში მრავალი ისეთი უწესოება ჰხდება, რომელსაც არავინ ყურადღებას არ ათხოვებს, მაგალითად ალექსანდრეს ბაღში თავს იყრის დიდძალი უსაქმო ხალხი, რომელიც უშვერის სიტყვითა და ქცევით გამვლელ-გამომვლელს თავს აბეზრებს და აწუხებს. ყმაწვილებსა და ქალებს იმათ ახლო ხომ არ გაევლება; ეს ხალხი იმდენად უშვერი და უზრდელია, რომ შესაძლოა რაიმე უბედური შემთხვევა მოხდეს ბაღში.

არა ნაკლებად უზრდელად იქცევიან კინტოები ძველის საბაჟოს პირდაპირ, სადაც დილ-დილაობით ყმაწვილები იკრიბებიან, ელოდებიან ცხენის რკინის გზის მატარებელს და სკოლებში წასასვლელად ემზადებიან. სანამ მატარებელი მოვიდოდეს, ყმაწვილები იძულებულნი არიან მოისმინონ კინტოებისაგან მრავალი უშვერი სიტყვა და მრავალს უზრდელობას შეჰყურონ. რადგანაც მოწესენი ამ გარემოებას არავითარს ყურადღებას არ ათხოვებენ, საჭიროა, რომ თვით მშობლებმა რაიმე ღონე იღონონ.

*** ტფილისის ვაჭრების უსტაბაში სთხოვს ბბ-ნთ ვაჭრებს პირველისა და მეორე გილდიისას, რომ მობრძანდნენ ბანკის ქარვასლაში საზოგადო კრებაზე 3 აპრილს, კვირას, დილის 10 საათზე. ასარჩევია ორი წევრი და ორი ამათი კანდიდატი ტფილისის საგუბერნიო პრისუტსტვიისათვის სამის წლის ვადითაო.

*** კავკავის ქართველობას, რომელიც რიცხვით თითქმის 200 კომლზე მეტია, დიდი ხანია განზრახვა აქვს გამართოს თავისთვის სკოლა. ამ წელს იქაური ქართველობა უფრო მხნედ შესდგომია ამ საქმეს და გულით მოწადინებულია, რაც შეიძლება მალე აისრულოს თავისი სურვილი. ჩვენის ფიქრით, კავკაველს ქართველობას დაბრკოლება არა დახვდება-რა. კავკავში ქართველობა უფრო ვაჭარი ხალხია და ისე ღარიბი არ არის, რომ სამოც-ოთხმოცის თუმნის და ან ცოტა მეტის გამოღება გაუჭირდეს ყოველ წლობით თავის შვილების აღსაზრდელად. თუ გაუჭირდება კიდევაც, შეუძლიან დახმარება სთხოვოს ქალაქის გამგეობას, რომელიც შემწეობას აძლევს კავკავის სხვა სკოლებს, სომხებისასა და რუსებისას. რაც შეეხება ტფილისის „წერა-კითხვის საზოგადოებას“, არც ის დაიშურებს შემწეობა აღმოუჩინოს ამ

---

დესაც ვიანგარიშებთ თვითონ წიგნების რაოდენობას. ჩვენში ძალიან დიდი საქმეა, რომ ერთის წიგნისა დაიბეჭდოს ორი ათასი ცალი. ეს ისეთი იშვიათი ამბავია, რომ სათვალავშიაც არ ჩაიგდება. უმეტესად იბეჭდება 300-დამ 600-მდე ცალი. ევროპაში-კი რიცხვით ჩვენოდენა ხალხი თითო წიგნს დაჰბეჭდავს ათი-ათასობით და მეტობითაც. გარდა ამისა, უნდა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ იქ წიგნი გასაღდება ხშირად რამდენისამე თვის განმავლობაში და ჩვენს საცოდავს მაღაზიას-კი ლამის დადულპეს და აუობდეს ამ ათის წლის წინად და შემდეგ დაბეჭდილი წიგნები, რომელთაც თვალი ამოუღამდა მუშტრის ლოდინში და დღეს უიმედოდ აწყვია ხარიხებზე.

**

ეს სულ ჩვენის ყბა-ღიაობის ბრალია.

ჩვენ ისევ იმ ოცნებაში ვართ, აცა როდის გაიხსნება ცა და ღმერთი როდის ჩამოჰყრის გუდებით ოქროსა, რომ გაუჭირებლივ, ხელ-გაუნძრევლად ვიგემოთ ყოველი სიტკბოება ცხოვრებისა.

ქართველი კაცი მაგრე რიგად არა სწყალობს გამოფხიზლებულ მეზობელსა. გამოფხიზლებულს ჩვენ ვეძახით იმ ქართველს, რომელიც სიტყვით, კალმით თუ სხვა რაიმე ღონის-ძიებით ცოდნის მუჯლუგუნსა სცემს თავის მეზობლებსა და უფრთხობს ტკბილს ძილს. ჩვენი მწერლები, რაც უნდა დიდი ნაკლი ვუპოვნოთ, ყველანი იმის მეცადინეობაში არიან, რომ დაეხმარნენ ქვეყნის გამოფხიზლებას, ყურებიდამ ბამბის გამოღებას. მართალია, საზოგადოდ სუსტი და უფერულია ჩვენი მწერლობა, მაგრამ მაინც იქ თუ მოიპოვება ყოველივე, რაც-კი კარგი აზრი და ფიქრი ჰტრიალებს თვალ-ახილებულის კაცისა, თორემ სხვაგან ყოველ ასპარეზზედ მარტო ნაწყვეტ-ნაწყვეტ შეჰხვდეით ამ აზრსა და გრძნობას. ჩვენი კერძო-კი არა, საზოგადო გამოფხიზლებაც დაიწყება მხოლოდ მაშინ, როდესაც ყოველი ჰკვათა-მყოფელი ქართველი მუშტრის თვალით შეჰხედავს ქართულს წიგნსა, როგორიც უნდა იყოს ეს წიგნი.

წიგნი დღეს ყველაზე უკეთესი იარაღია აზრების ალება—მიცემობისათვის. თუ საზოგადოების აზრმა გაიღვიძა, წიგნსაც მიეცემა გზა, და აქედამ თუ წიგნს ბეგარასავით უყურებს საზოგადოება, მაშინ იმისი აზრი ძილის საბრძანებელშია და ეძლევა სამარცხვინო განცხრომას. ეს სამარცხვინო განცხრომა იქამდის ძრიელია ჩვენში, რომ ორსა და სამს კაცს ვერ დამისახელებთ, ვისაც ჩვენი მწიგნობრობა ზედათაც არის შესწავლილი ჰქონდეს, ვისაც შეეძლოს ცოტათი მაინც გამორკვევით გითხრას, რომელი თვალ-საჩინო ქართველი მწერალი რა გზას ადგია და რას ემსახურება თავის კალმით—ქვეყნის სიკეთესა თუ ეშმაკების უფროსს ბელზებულსა, რომელი სახელოვანი მწერალი რა აზრისაა ამა-და-ამ საზოგადოებურს საგანზე, რისთვის შესტკივა გული, რა სწადიან და სხვანი. ან-კი საიდამ უნდა იცოდეს, როგორ უნდა შეისწავლოს, როდესაც მხოლოდ შემთხვევით თუ გადაჰფურცლავს ამასა თუ იმ წიგნსა!

მართლაც-და საგანგებო და თითით საჩვენებელი უნდა იყოს ის ქართველი, რომელსაც თავის ბიბლიოთეკაში ჰქონდეს ყოველი ქართული წიგნი, რომელიც-კი ბ-ნის ჩარკვიანის მაღაზიაში ასობით აწყვია. ამისთანა კაცი ისეთი შესანიშნავი ვინმე უნდა იყოს, რომ სწორედ საშვილიშვილოდ უნდა გადავიდეს იმისი სახელი მთელს ქართველობაში.

**

მეტყვით—ვისი რა ბრალია, როდესაც ქართული წიგნები არაფერს ასწავლის კაცსაო, არავითარ სარჩოსა და მასალას არ აძლევს მკითხველსაო. ძალიანაც რომ ეხალისებოდეს კაცსა ქართულ წიგნების კითხვა, უნებურად დასაწყისშივე უნდა მოიკლას გულში ეს ხალისი, რადგან ქართული მწერლობა დღეს ცარიელი აჭია-ბაჭიაობაა და მეტი არაფერიო. აბა კაი, საფუძვლიანი წიგნები მოგვეცით, თუ მკითხველი თავიდამ-ღა მოიშოროთო. თაფლი იყოს, თორემ ბუზი ბაღდადიდამ მოვაო.

ამისთანა სამდურავებს ბევრჯელ გაიგონებთ. მე, რასაკვირველია, ვერ ვიტყვი, რომ ჩვენი მწერლობა მაღალს ფარდებში ჰფრინავდეს, ყოველი საყურადღებო საზოგადოებური და სამეცნიერო საგანი დალაგებითა და სისრულითა ჰქონდეს შესწავლილი. პირ-იქით, ჩვენი მწერლობა, ჩემის აზრით, ჯერ ისევ თითქმის უსუსურია. ან-კი რა დღეში უნდა იყოს ქართული მწერლობა, როდესაც სულ რაღაც ათი წელიწადია მას აქეთ, რაც პირველი წიგნის დუქანი გაიმართა ჩვენს ქვეყანაში; როდესაც თითო წიგნი იბეჭდება რამდენიმე ასი ცალი, როდესაც წიგნის ფასი ორის გროშიდამ ათ შაურამდე ძლივს ადის და როდესაც დაბეჭდილის ნახევარიც არა საღდება ჩვენში!? რა გულით უნდა მოჰკიდოს მწერალმა კალამს ხელი, როდესაც იცის, რომ იმისი ნაწერი, გინდა უმაღლესის აზრითა და მშვენიერის გრძნობით იყოს ყელამდე მოყრილი, ასიოდე მკითხველს ძლივს იშოვნის!.. როდესაც მწერლობას დრო უნდა და მწერალსაც სხვებისავით თავის რჩენა, როდესაც ნაწერი ვერ აჯილდოვებს შრომასა და მწერალი ლუკმა პურის ძიებაში სულ სხვა ხელობას ან სამსახურს ეტანება, მაშინ თვით ნაწერიც სწორედ იმ ღირსებისა იქნება, როგორსაც დღეს ვუსაყვედურებთ ქართველ მწერლობას. ნაწერი მაშინ იქნება კარგი, როცა მწერალს მცირეოდენ ნიჭთან იმედიც ექნება, რომ ალალ ლუკმას მოიპოვებს თავის შრომითა. თუ-კი თავ-აუწეველი ჰშრომობ ვინ იცის, რომელ კანცელარიაში თუ კერძო საქმეზე, მაშინ რაც უნდა დასწერო, შენს სალიტერატურო ნაწერს ერთი-ათად მაინც აკლდება ფასი და ღირსება.

ეს ძალა-უნებურად ასე უნდა იყოს და ასეც არის ეხლა ჩვენს დალოცვილს ქვეყანაში. უმეტესი ნაწილი ქართულ ნაწერებისა ძრიელ სუსტია. მაგრამ მოგეხსენებათ ქართული ანდაზა—ავია თუ კარგიაო, ქალო, შენი ქმარიაო. ცუდია თუ

საქმეში კავკაველს ქართველებს: თუ ფულით და თუ რჩევით, ან სახელმძღვანელო წიგნებით მუდამ ხელს გაუმართავს, რიგიანს და ბეჯითს მასწავლებელს უშოვნის და თავის ზრუნვას არ მოაკლებს. სასურველია, რომ მოზდოკისა და ყიზლარის ქართველობამაც მიჰბაძოს კავკაველ ქართველობას, იმათაც გაიმართონ ქართული სკოლები და არ დაავიწყონ თავიანთ შვილებს თავისი დედა-ენა.

*** სურამი: ვინ იცის, რა ქურდობა არ მოხდა სურამსა და ხაშურში წელსა, რამდენი მედუქნე არ დაასვეს ხელ-ცარიელი ავაზაკებმა. საცოდავი გაქურდული მედუქნეები სხედან ახლა გულ-ხელდაკრეფილები და აქეთ-იქით იცქირებიან: აცა, იქნება სადმე აღმოჩნდნენ ჩვენი დამღუპავი ავაზაკებიო. მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე, არა თუ აღმოაჩინეს ავაზაკები, არამედ კვალიც ვერ მიიტანა პოლიციამ; ეს იყო მხოლოდ, რომ ორი ყარაული არის დაპატიმრებული გორის საპყრობილეში. ეს ყარაულები, აგერ იქნება ერთი თვეა, ციხეში სხედან და საწყალი იმათი ცოლშვილი სურამში მოწყალეებასა თხოულობს და ისე ირჩენს თავსა. ეს ყარაულები დააპატიმრეს იმის გამო, რომ უკანასკნელს დროს გაუტეხეს მაღაზია სურამელს დავით ტერზახაროვს. რაც შეეხება წინანდელს ქურდობას, როცა გასტეხეს დუქანი არამაკ ლოტუევისა, გრიგოლ აკოფოვისა და სხვისა, ამ ქურდობა-ავაზაკობის გამო დღემდე არავინ არის დაჭერილი, მაგრამ ან-კი ვის დაიჭერდნენ, რომ იმ დროს ყარაულები არა ყოფილან სურამში და აბა ვისთვის უნდა დაედოთ ხელი?..

*** სოფ. ნიგოითი (გურია): ამ ბოლო ხანებში რამდენიმე ყმაწვილი დაიწვა ცეცხლით მშობლების უყურადღებობისა და გაუფრთხილებლობის გამო. ამ ორის თვის განმავლობაში სამი ყმაწვილი დაიწვა; ერთი ამათგანი კიდეც მოკვდა.

*** კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებას განზრახვა აქვს გაამწესოს სხვათა შორის მისიონერის ადგილზე იერემონახი ლეონიდ ოქროპირიძე, რომელიც წელს ათავებს სწავლას კიევის სასულიერო აკადემიაში, ამბობს გაზეთი «Тиф. Листокъ»-ი.

## მცირე შენიშვნა

ალექსანდრე მერაბოვს, თელავის წიგნის მაღაზიის პატრონს, აქვს ფრიად შესანიშნავი საისტორიო და საგეოგრაფიო განძი ვახტანგ მეფის დროისა. ამ გვარს განძზე ჯერ მე არც ჩვენს მწერლობაში და არც ისე არა გამიგონია-რა და არა ვგონებ, რომ, ზოგიერთ თელაველების გარდა, ვისმე ენახოს და ან იცოდეს რამე იმაზე. ეს ძვირფასი განძი გახლავთ გეოგრაფიული ქართული ატლასი პტოლომეის სისტემისა, ამოჭრილი და დახატული რბილ სპილენძზედ. ეს ატლასი, წოდებული «ქართულ ქარტად» (როგორც პატრონი ამბობს), შესდგება შემდეგის ნაწილებისაგან: 1) ერთის მრგვალის სინისაგან (ნათთხალი არშინისა დიამეტრით), რომელზედაც აწერია ჩართულის ხელით «ვახტანგ» (ალბად მეექვსე იქნება); შიგნითი პირი ამ სინისა დაყოფილია გასწვრივ, ქეშა სიმრგვლეებით თორმეტ ნაწილად, ხოლო თითოეული ნაწილი მერიდიანებით — თექსმეტ ნაწილად. აქ ჩამოთვლილია ქალაქების სახელები და აღნიშნულია ამ ქალაქების გეოგრაფიული მდებარეობა. ეს ნაწილი ამ ატლასისა მე უკვე გადავიღე ქაღალდზე და ამ მოკლე ხანში წარმოვადგენ „ივერიის“ რედაქციაში. მეორე პირი (გარეთი პირი) ძრიელ ბევრ და სხვა-და-სხვა ნაწილებად არის დაყოფილი. მაგალითად, განზე გასწვრივი მრგვალი ხაზნებია გაყვანილი და ასეთი წარწერა აქვს ზევიდამ: „განზე: რომ: ხაზები: გაუწევიათ: ნისბი: ნარის: ხაზებია“; ერთ ალაგას კიდევ აი რა სწერია: «სამხრის.·. მხრის.·. ფარგლები.·. რომ.·. ყიბლა.·. ამითი.·. შეიტყობა.·.»; მერე სწერია: «მუსალასას.·. ბუნება: და: პატრონი: იმათი: დღისით: ვინ არი: და: ღამით: ვინ». აქვე გაყვანილია რამდენიმე გეზი ხაზი და ჩამოთვლილია ზოდიაქოს საგნები: ვერძი, ლომი, მშვილდოსანი, მზე, მუშთარ, ხოელ, მუშთარი, კურო, ქალწული, თხის რქა და სხ. ერთის სიტყვით, ეს პირი ამ სინისა ძრიელ რთულია და არ ვიცი, მოვახერხებ ამის გადაღებას, თუ არა. 2) ამ სინში ჩაიწყობა, ჩალაგდება ხოლმე ხუთი თხელი და მრგვალი თეფში, ისინიც სპილენძისა, რომლებზედაც დახატულია დედამიწა სხვადა-სხვა «პოლიუსებიდამ», ესე იგი სხვა-და-სხვა წერტილები მიუღიათ დედამიწის პოლიუსად და იქიდამ დაუხატავთ. აქედამ სჩანს, რომ დედამიწა მაშინაც წარმოდგენილი ჰქონიათ ისე, როგორც ახლა, — ბურთისავით მრგვლად. შესანიშნავი კიდევ ის არის, რომ ამ გეოგრაფიულ ატლასის ქარტებზე დასავლეთი იქა სწერია, საცა ახლანდელ ქარტებზე აღმოსავლეთია ხოლმე და აღმოსავლეთი იქა, სადაც დასავლეთია. 3) თეფშებს ზევიდამ დევს ზოდიაქოს ხაზი, ჩუქურთმით ამოჭრილი. ეს უკვე გადავიღე. 4) ამათ ზევიდამ კიდევ არის სპილენძის შიშა, ისიც წარწერებით. 5) სინსა, თეფშებსა, ზოდიაქოს ხაზსა და შიშასა იჭერს რკინის პატარა ღერძი თავის ჩხირით.

წარწერა სულ ქართულია, მხოლოდ ერთ მცირე ალაგას თათრულად თუ არაბულად არის. წელიწადი არ აწერია. ჩვენ ვერ ვიპოვნეთ და შეიძლება იყოს, არ ვიცი. უეჭველია, ამ ატლასის გამო, მის ასახსნელად და გასაგებად წიგნი რამ იქნებოდა დაწერილი; მაგრამ ვინ იცის, — ატლასის პატრონმაც არა იცის-რა ამის თაობაზე. ამიტომაც თუ არა ძლიერ დახელოვნებულისათვის ამ საქმეში, ძალიან ძნელია ამ ატლასის დაწერილებით ახსნა და გაგება. მე ვსთხოვე ბ-ნს ა. მერაბოვს, ეს ატლასი ეჩვენებინა დ. ზ. ბაქრაძისათვის, და კიდეც შეასრულებდა ამ ჩემს თხოვნას საშობაოდ, რომ დიმიტრი ზაქარიას ძეს არ გაესწრო სტამბოლში.

ეს ატლასი ამას წინად ვუჩვენეთ არხეოლოგს და აღმოსავლეთის ენების (ქართულის, სომხურის, არაბულის და სხვათა) მცოდნე საერო სკოლების ინსპექტორს, ბ-ნ ა. ნ. გრენს, რომელმაც ატლასი აღიარა ძვირფას სამეცნიერო-საგეოგრაფიო განძად, მაგრამ ნამდვილი და ჯეროვანი ახსნა-კი ვერ მოგვცა, რადგანაც ეს უფრო გეოგრაფიის მცოდნეების საქმეაო.

კარგი იქნება, რომ ამ გეოგრაფიულ ატლასს ვახტანგისას როგორმე შეიძინდეს «წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება». მე ბევრი ვეხვეწე პატრონს, რომ მოეცა ჩვენთვის და ღირსეული სასყიდელი მიელო; მაგრამ დიდ უარზედ არის, — «რამდენის ხნობითაც გინდა გათხოვებ, რომ პირი გადიღოთ, და გაყიდვით-კი არ გავყიდიო». აი მეცა ვსცდილობ გადავიღო და ვნახოთ.

გ. ბურჭულაძე

თელავი, 27 მარტი

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** ახალმა სამინისტრომ წარუდგინა პარლამენტს თავისი ახალი პროგრამა. აი ეს პროგრამა ანუ დეკლარაცია ახალის მთავრობისა:

«ბატონებო, წარმოგიდგებით თქვენ წინაშე და მოგმართავთ თხოვნით, რომ მტკიცედ შევერთდეთ ყველა სარესპუბლიკო ძალნი. ჩვენ ყველანი, ვინც ახალს სამინისტროში მოვყევით, დიდი ხნის ვემსახურებით რესპუბლიკასა. ჩვენი სახელი და გვარი იცის დემოკრატიამ და იმედია, რომ იმისი ნდობაცა გვაქვს დამსახურებული. მაგრამ იმისი იმედი უფრო გვაქვს, რომ პარლამენტი არ დაიშურებს ჩვენთვის თავის დახმარებასა დღეს, როცა გარემოება ითხოვს, რომ ყველა რესპუბლიკელნი ერთგულობითა და ერთსულობით იქცეოდნენ. პრეზიდენტმა სამინისტროს შედგენა ისეთს კაცს მიანდო, რომელიც სამი წელიწადი პარლამენტის თავ-მჯდომარედ იყო და რომელიც ამ სამის წლის განმავლობაში მიჩვეოდა პირუთვნელად და სამართლიანად საქმის წარმოებასა. პრეზიდენტს იმედი აქვს, რომ ასეთი კაცი სამინისტროსაც ასეთისავე პირუთვნელობითა და სამართლიანობით ამოქმედებს. გარნა ვისწრაფვით აქვე შევნიშნოთ, რომ ეს შეერთება რესპუბლიკელთა ჩვენ ისეკი არ გვესმის, ვითომ მთავრობა ერთს ალაგას გაჩერდეს, ან უკან-უკან იწევდეს; არა, მხოლოდ წინ სიარული და განონიერი ზრდა ჩვენის სხვადა-სხვა დაწესებულებისა აჯილდოვებს უმნიშვნელოსა და ტყუილ-უბრალოდ ატეხილს ყაყანსა და დავიდარაბას. მთავრობა, რომელიც არც ერთის რიგიანად მოფიქრებულის ცვლილების შემოღებას არ უფრთხის და არ ერიდება, მხოლოდ იმისი მოსურნეა, რომ მოთავე იყოს რესპუბლიკელთა უმრავლესობისა, რათა ამ სახით ხელმძღვანელობა გაუწიოს, წესი და რიგი დააწესოს და განახორციელოს ის იმედი, რომელიც ერსა აქვს რესპუბლიკაზე. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ თითოეულის გაბატონებით დაარსებული თავისუფლება უეცრად ვერ მოგვანიჭებს ბედნიერებას. თუ გვინდა, რომ თავისუფლებამ სიკეთე მოგვანიჭოს, მუდამ უნდა ჩვენი მოწონება თან სდევდეს. ჯერ უნდა თავისუფლადვე განვსაჯოთ, ავწონ-დავწონოთ საქმე და მერე ისე განვახორციელოთ. ამით იქნება შევაინდეს სასიკეთო ცვლილება, მაგრამ სამაგიეროდ იგი ცვლილება უფრო საიმედო და სამუდამო სიკეთეს შეგვძენს. კონსტიტუციის გადასინჯვის საქმე ისეთი საქმეა, რომელსაც უფრო უმეტესად ეჭირება დამშვიდებული განსჯა და აწონდაწონვა. ისინი, ვინც უფრო მოწადინებულნი არიან კონსტიტუციის გადასინჯვასა, რასაკვირველია, არ მოინდომებენ, რომ ასეთი დიდი და საყურადღებო საქმე გაკეთდეს მაშინ, როცა ან სახეირო არ იქნება, ან ისე სასიკეთო, როგორც იმედი გვაქვს. სამინისტრო გთხოვთ ენდოთ და თვით იმას ამოარჩევინოთ მარჯვე დრო კონსტიტუციის გადასინჯვისათვის. დეპუტატთა პალატის პრეზიდენტმა გითხრათ თქვენ ერთხელ შემდეგი: „ეხლანდელს დროშიო, —

ბოგია, ჩვენი მწერლობა ეგ არის. ავადა თუ კარგად, ჩვენი დარდი და საფიქრებელი ამ მწერლობაშია გამოთქმული და დასახელებული, სხვაგან არსად, და ამიტომაც ვინც ჩვენთაგანი თვალ-ახილებულთა შორისა თვლის თავის თავსა, უეჭველად კიდეც თვალ-გაფაციცებული უნდა ეწაფებოდეს ქართულ მწერლობას, გულის ძგერით ისმენდეს ყოველს იმის ბუტინსაც-კია, რადგან თვით ეს სამშობლო ტიტინი წინამორბედია იმისი, რომ ოდესმე ჩვენც გვექნება საკუთარი მწერლობა, ოდესმე ჩვენს ენასაც ფასი და ადგილი ექნება კაცობრიობის აზრის მოედანზედ. ეს ტიტინი პირველი ნაბიჯია ენის ამოდგმაში და რამდენადაც სათუთად შევუწყობთ ხელსა, იმდენად მალე შევესწრობით იმ ბედნიერს დღეს, როდესაც ქართულს ენასაც ექნება ცოტად თუ ბევრად სრული და უნაკლულო ლიტერატურა.

როცა ქართველ საზოგადოებაში გაიღვიძებს ცხოველ-მყოფელი ცნობის მოყვარეობა, როცა ქართულს წიგნს გაეხსნება ვრცელი და ნალდი ბაზარი, მაშინ თვით საქონელი, წიგნიც, სიკეთეში შევა, რადგან იმისთანა დროს ყოველი მცოდნე და ნიჭის პატრონი ქართველი, იმის მაგიერ, რომ აქა-იქ უსარგებლოდ სული ამოირთვას უხეირო საქმეებში, არჩევს მწერლის ხელობასა, რომელიც შრომის ჯილდოსაც მისცემს მწერალსა და თვით ეს შრომაც სასარგებლო განძი იქნება სამშობლოსათვის...

**

საშუალო სკოლებში ნასწავლ-კაცებსაც-კი არა თუ ქართულის მწერლობისა არა გაეგებათ-რა, არამედ თვით ქართულის კითხვაც ვერ მოუხერხებიათ. კიდევ კარგ ამბად ჩასთვლით, როდესაც ამისთანა ქართველს სცხვენიან თავისი უმეცრება, ბოდიშს მაინც ითხოვს. მაგრამ ძნელი ის არის, რომ მომეტებულ ნაწილად თავი მოაქვთ თავიანთის უვიცობითა. ზოგი სამის წინადადების გამოთქმასაც ვერ ახერხებს უცხო ენაზე, და მაინც ქართულად ხმას არ გაგცემთ — ისევ დანჯღრეულისა, დამტვრეულისა და დამახინჯებულის უცხო ენით დაგიწყებთ ლაპარაკსა, ოღონდკი ქართულ ენის ცოდნის უარი გამოგიცხადოთ და ისიც კეძო ადგილას-კი არა, საჯაროდ.

შემეძლო ამისი მაგალითი ბევრი მომეყვანა, მაგრამ უიმისოდაც გრძელი სიტყვა მოგვივიდა ამ ჩვენს სამწუხარო სატკივარზე და ამიტომ ვიკმაროთ ერთი მაგალითი.

ამას წინად ჩვენს გაზეთში ამბადა გვწერდნენ, რომ ნიკო ქარქვეტაძემ შემთხვევით დასჭრა კაცი სასიკვდილოდაო. თურმე ნუ იტყვით, ამავ სახელისა და გვარისა სხვა კაციცა ყოფილა, და ამ ამბის დაბეჭდვას მოჰყვა ერთი საშინელი უკადრისი წერილი რუსულს ენაზე ამ მეორე ნიკო ქარქვეტაძისა, რომელიც თურმე სადღაც კანცელარიის მოხელედ იმყოფება. აი თვით წერილიც: «რედაქტორო! მე ქართულს არასა ვკითხულობ, არც თქვენის გაზეთის ამბავი მეცოდინებოდა, რომ ნათესავებს არ შეეტყოთ და არ შევეწუხებინეთ წერილებითა და დეპეშებით. მეკითხებიან, ვინა და ან რაზედ დაჰჭერი და მოჰკალი კაციო. ემანდ რაღაც გაზეთს რომა ჰბეჭდავთ, უბრძანეთ მაგის რედაქციის გამგესა, გადათარგმნოს ეს წერილი და დაბეჭდოს გაზეთში, რომ ეგ დიდი ჭორია — მე არც არავინ დამიჭრია და არც არავინ შემომკვდომია. მე ხომ, აბა რასაკვირველია, რად წავიკითხავ რაღაც ქართულ გაზეთს «ივერიას», და ჩემი ნათესავები მაინც შეიტყობენ და დაწყნარდებიან. ნიკოლაი კარკვეტაძე».

როგორი მაგილითია, მკითხველო, და ან როგორ მოგწონთ ეს საკვირველი წერილი ნიკოლაი კარკვეტადზისა!

ამისთანა მახინჯს ამბებთან, რა თქმა უნდა, რომ ჩვენში წიგნი ჯერ გვიან მოიკიდებს ფეხსა, რა თქმა უნდა, რომ ჩვენს სიტყვასა და საქმეს ჯერ გვიან დავატანთ თან ჰკუასა. აბა ჩვენთვის რა საჭიროა წიგნი, .

ერთი მიუბრუნდით ისევ ამ საკვირველს წერილს, და შეხედეთ, რა ნაირ კილოზეა დაწერილი. გარდა იმისა, რომ ავტორი თავის თავს აბიაბრუებს ასეთის წერილის მოწერით, იგი საშინლად მოწადინებულია თვით რედაქციაც გააბიაბრუოს, რედაქციასაც უკბინოს და გული დასწვას. ერთი ეს იკითხოს კაცმა, ბ-ნი ნიკოლაი კარკვეტადზე ხომ თითონვე იკვეხის, რომ «ივერიას» არა ვკითხულობო, და მაშ საიდამ აღძვრია წადილი უმიზეზო ლრენისა და კბენისა? რატომ ვერ იფიქრა, რომ ის ნიკო ქარქვეტაძე სხვა ვინმე უნდა იყოს, რომელსაც კაცი შემოჰკვდომია! თუ მაინცა-და-მაინც შეაწუხეს დეპეშებითა (?) და მრავალის (?) წერილებით ნათესავებმა და ნაცნობებმა, რატომ არა გთხოვა დახმარება გაგვეწია ამისთანა შეწუხებულ მდგომარეობაში! რისთვის იკვეხის, რომ ქართულს არასა ვკითხულობო და რაღაც «ივერიას» ხომ ხელშიაც არ ავიღებო? რა უნდა ამითი სთქვას? იმაზედ ხომ არ მოსდის გული, რომ ქართული გაზეთი არსებობს ქვეყანაზედ!..

საკვირველი არ არის, რომ ქართველი ქართულსა უკადრისობდეს!.. თანაც ამ უკადრისობასაც ქადილობდეს!..

აი, ჯერ-ჯერობით ქართულ მწერლობის მდგომარეობა, მაგრამ მერმისი ჩვენში მაინც ამ მწერლობისაა. ცოტაოდენი მსხვერპლი კიდევა-და, ქართული წიგნიც ფეხს აიდგამს და დაჰბადებს ჩვენში აზრისა და გრძნობის ყოველ შემძლებელს ალებ-მიცემობას, რომელშიაც უნდა ვეძებოთ ჩვენი ერთად-ერთი თვალსაჩინო სახსარი გონებითისა და ზნეობითის წარმატებისა. და მაშინ ნიკოლაი კარკვეტადზეები ზღაპრად საამბობნი გახდებიან ქვეყნის სასაცილოდ. ეხლა-კი თავიც მოსწონთ ამ ნიკოლაი კარკვეტადზეებს და ჩვენც სხვა არა გვეთქმის-რა იმის მეტი, რომ დავიძახოთ: აფერუმ, ღოსპოდინ ნიკოლაი კარკვეტადზე-ёвъ!..

სანო

გითხრათ იმან, —ერისათვის იმდენად საინტერესო არ არის თვით გარეგანი წესი და რიგი პოლიტიკურის ცხოვრებისა, რამდენადაც ისეთი საგნები, როგორიც არის, მაგალითად, ქვეყნის ფინანსები, მრეწველობა, ვაჭრობა, მუშა ხალხის ყოფა-ცხოვრება, საომარ ფეხზედ დგომა ერისა, საერთა-შორისო ურთიერთობაო". აი ეს საგნების დანიშნული თქვენდა განსახილველად მორიგობის წესით. რომელიც უფრო საჭიროა, ჯერ ის საგნები განიხილეთ და მერე სხვები. სამინისტრო ყურადღებას არ მოაკლებს თქვენს სჯასა და განახორციელებს იმ გარდაწყვეტილებას, რომელიც უფრო შესაბამი იქნება სადემოკრატო პრინციპებისა. საფინანსო საქმეები თქვენი პირველი საზრუნავი უნდა იყოს. იმედია, ყველა საქმეები მალე და სასიკეთოდ გარდასწყდება.

„ამ სახით კარგად მოვემზადებით როგორც შინ, ისე გარედ, რათა დიდებულად ვიდღესასწაულოთ ასის წლის იუბილეი დიდის რევოლიუციისა".

## წვრილი ამბები

— ბერლინის მანდილოსნებს შეუკვეთნიათ და ატარებენ გულზედ ქინძისთავებს, რომელზედაც ამოჭრილია თურმე უგანასკნელად დაწერილი გვარი და სახელი ვილჰელმისა თვით გერმანიის იმპერატორის მიერვე გარდაცვალების წინად.

— იმპერატორ ფრიდრიხს III ამალა 41 ოფიცრისაგან შესდგება. ამათში 22 გენერალ-ადიუტანტია, 6 ამალის გენერალი და 13 ფლიგელ-ადიუტანტი.

— იმ პოზნანელ აბატისათვის, რომელმაც გერმანიის იმპერატორის გარდაცვალების გამო ზარების დარეკვაზე უარი გამოაცხადა, სასამართლოს 80 მანეთამდე ჯარიმა გადაუხდევინებია.

— პარიჟში დაუარსებიათ განსაკუთრებით მანდილოსანთათვის კლუბი, სადაც ქალები გაზეთებსა კითხულობენ, ბანქოსა, დომინოსა, ბილიარდს და ნარდსა თამაშობენ. ამ კლუბში უმეტესად ქმრიანი ქალები იკრიბებიან თურმე: კლუბში მოდიან მაშინ, როცა ქმარი შინ არა ჰყავთ, და საღამოზედ ისევ ბრუნდებიან სახლში. კლუბში განსაკუთრებით ისეთს ქალებს იღებენ წევრად, რომელთა სახელი პატიოსნად არის ცნობილი.

— ინგლისის გაზეთები ამბობენ, რომ სარა ბერნარი ლონდონში გარსკვლავივით გამოჩნდება და მერე ისევე დაიკარგებაო. ეს არტისტი - ქალი დილით მოვა Royalty-ის თეატრში თავის საკუთარს პიესა «'LAveu»-ს წარმოადგენს და მეორე დღესვე უკან წავა პარიჟშიო.

—ერთ ბერლინელს ტანისამოსით მოვაჭრეს დიდი ხანია უნდოდა თურმე, რომ სასახლის მეტანისამოსე გამხდარიყო. ერთხელ ამ კაცმა გარდაცვალებულ იმპერატორ ვილჰელმს გაუგზავნა აბრეშუმის ხალათი და თავის სათხოვარიც აუწყა. ეს მოვაჭრე ისე დარწმუნებული იყო თურმე, გულის წადილი ამისრულდება, რომ მაშინვე შეუკვეთა — „ვივესკაზე" მიაწერეთ სიტყვები «სასახლის მეტანისამოსეო». სწორედ იმ დღეს, როცა შეცვლილი და გადასხვაფერებული ვივესკა მიუტანეს, მოუვიდა თურმე ხალათი უკანვე შემდეგის ბარათით: „გოგენცოლერნები ხალათებს არ ატარებენო".

— მიუნხენის გაზეთი „Neueste Nachrichten"-ი ამბობს, რომ 14 მარტს [illegible]

ლობა მოხდა, რის გამოც ლუდხანა დაჰკეტეს თურმე. ბრბოს, რამდენისამე ათასის კაცისაგან შემდგარს, დაუწყია პოლიციელთა და ჟანდარმთათვის კიცხვა და კილვა. როცა უწესოების ჩამდენთა დასაშოშმინებლად ჯარი მოსულა, ვიღასაც დაუძახნია: «გაუმარჯოს ბულანჟესაო!» ამის გამო ერთი ოროსტრიალი ატეხილა და ძლივს დამშვიდებულა გამძვინვარებული ხალხი.

— ზალცბურგში დიდი მითქმა-მოთქმა და ალიაქოთი აუტეხნია ამას წინად ერთს ამბავს. ახალგაზდა კაცს, რიხარდ ვენიგს, ორი წლეიწადი უცხოვრია მიუნხენში, სადაც ცოლი და ორი შვილი ჰყავს თურმე, და შემდეგ შეჰყვარებია გაუთხოვარი ქალი, მეტად მშვენიერი და ტურფა იულია ბუხოლცერა. რიხარდს ამ ქალთან სიარული დაუწყია და მალიან დაახლოვებული კავშირიც ჰქონია. თავ-მინებებულს ცოლს პოლიციისათვის შეუტყობინებია ეს ამბავი; პოლიციას დაუბარებია ცოლის მოღალატე ქმარი და გაუკიცხავს. ამას შემდეგ შეყვარებულთ განუზრახავთ თავის მოკვლა. წასულან ზალცბურგის ერთს სასტუმროში, სადაც კაცს დამბაჩა უსროლია, ქალი მოუკლავს და შემდეგ თავის თავისათვის მიურტყავს დამბაჩა.

— გაზეთი «Pensiero», რომელიც ნიცაში იბეჭდება, ამბობს, რომ მონტე-კარლოში ამას წინად თავი მოიკლა ერთმა ინგლისელმა ქალმა, რადგან 100,000 მანათი წააგოვო. გენუას გაზეთების სიტყვით, ამ წლის პირველ იანვრიდგან მონტე-კარლოში 49 კაცს მოუკლავს თავი იმის გამო, რომ დიდძალი ფული წაუგიათ.

## გასართობი

გერმანიის სამუსიკო გაზეთში მოთხრობილია საყურადღებო ცნობანი იმის თაობაზედ, თუ როგორა და რა გვარად ჰქმნიდნენ გამოჩენილი კომპოზიტორები თავის ნაწარმოებთა. გუნო მუშაობს მხოლოდ მაშინ, როცა გრძნობასა და გუნებაზეა მოსული. თუ ამ დროს არავინ მიუახლოვდება, ნურავინ ეჩვენება; ბევრსა და ხანგრძლივ მუშაობს. ერთხელ თავის ცოლს კინაღამ საუკუნოდ თავი დაანება, რადგან ეს ადამიანი იმის ოთახში შევიდა სათითისათვის მაშინ, როცა კომპოზიტორი ფორტეპიანოს უჯდა და ფიქრით იყო გატაცებული. ტანშიაც-კი ტკივილებს იგრძნობს ხოლმე, თუ მუშაობის დროს ვინმემ დაუშალა, გაართო, საგანს მოაშორა. მელდენსონი, პირ-იქით, არას დროს არა ჯავრობდა, თუ დაუშლიდა ვინმე და საქმეზედ ხელს აალებინებდნენ; ცოტა ხნის შემდეგ ისევე დაუბრუნდებოდა შეწყვეტილს საქმეს და აკეთებდა, თითქო აქ არაფერი ამბავიაო. ბელინი მხოლოდ მაშინა ჰქმნიდა და სწერდა თავის ტკბილს მელოდიებს, როცა უზომოდ და უსაზღვროდ შეყვარებული იყო. როცა როსსინი წერის გუნებაზე მოვიდოდა, ჩაწვებოდა ხოლმე ლოგინში და მწოლიარე სწერდა. წერის დროს თან მღეროდა ხოლმე, მაგრამ ისეთი უსიამოვნო ხმა ჰქონდა, რომ ახლო მეზობლებს ვერ აეტანათ იმის სიმღერა. როცა ჯერ სახელი განთქმული არა ჰქონდა და სასტუმროში სცხოვრობდა, ტბის კომის ნაპირზე, ისე მოაბეზრა თავის მღერით მეზობლებსა, რომ სასტუმროს პატრონთან უჩივლეს და იმანაც პირდაპირ გამოუცხადა: ან ოთახი დამიცალე, ან მღერას თავი დაანებეო. ობერი მაშინ დაიწყებდა ხოლმე წერას, როცა ორ-სამ ჭიქას შამპანურს ღვინოს გადაჰკრავდა. ვაგნერს უყვარდა, რომ შექმნის დროს გარშემო ისეთი მოწყობილობა ჰქონოდა, როგორიც ნაწარმოებში უნდა ყოფილიყო, და თითონაც ამ დროს ატლასისა და ხავერდის ტანისამოსს იცვამდა. ოფენბახი თავის მხიარულს მელოდიებს მხოლოდ გაზაფხულზედა სწერდა და ისიც ზღვის პირას; თითონვე ამბობდა, [illegible]

პირი-ქით, შეეძლო ყველგან და ყოველთვის ეწერნა, ოღონდ ოთახში-კი არა ყოფილიყო. სთხზავდა ვაგონში, აბანოში, ქუჩაზე წვიმას ქვეშ და ამბობენ, რომ ერთი თავისი მშვენიერი თხზულება მაშინ შეჰქმნა, როცა კბილის ექიმის დერეფანში იჯდა და კბილი უნდა ამოეგლეჯინებინა ექიმისათვის, რადგან საშინლად აწუხებდაო.

**

განთქმულს ლექსიკონების მწერალს, ჯონსონს, ერთხელ სანაძლეო დაუდვია ბოსველთან, რომ ბაზარში მოვაჭრე დედაკაცს არც ერთს იმისთვის გასაგებს სიტყვას არ ვეტყვი და საშინლად-კი გავაბრაზებ და გავაცეცხლებო. ამ მეცნიერს კაცს გაუვლია ერთის დედაკაცის წინ, რომელიც თევზსა ჰყიდდა თურმე, და მაშინვე ცხვირზე ხელი უტაცნია, სახე შეუშმუშვნია, ვითომ-და თევზი საშინლადა ყარსო. ამის მნახველს დედაკაცს ვერ მოუთმენია და რამდენიმე უკადრისი სიტყვა მიუდევნებია უკან ჯონსონისათვის. ჯონსონი მოჰბრუნებია და უთქვამს.

— შენ სახელობითი ბრუნვა ხარ.

— შენა ხარ, შენა, მე-კი არა! უპასუხნია გაბრაზებულს დედაკაცს.

— ნაცვალ-სახელი ხარ.

— შენა? შენ იცი რა ხარ? შენ... სიტყვები ვეღარ მოუფიქრებია ჯავრით გაწიწმატებულს დედაკაცს.

— შენ ზმნა ხარ, განაგრძვია მეცნიერსა. დედაკაცს სიანჩხლით მუშტები მოუღერებია.

— შენ კიდევ იცი რა ხარ?—არ მოშვებია ჯონსონი:—შენა ხარ ზმნის-ზედა, ზედ-შესრული, შორის-დებული... აქ-კი წერეზე გადასულს ბრაზ-მორეულს დედაკაცს ვეღარ მოუთმენია, ულონოდ დაშვებულა, ქვითინი დაუწყია და დაუყვირნია:

— ჩემს დღეში ასე არავის გაულანძღივარ, ასე არავის გაუთრევივარ და გავეუთუთხნივარ ლაფშიო..

## დეპეშა

1 აპრილი

პეტერბურგი. გაზ. „С.-Петер. Вѣд."-ის გაუგია, რომ ამ ახლო ხანებში შემოღებული იქნება იმის ახალი წესი, თუ როგორ უნდა იჩივლონ, ვინიცობაა ვისმე უარი ეთქვა სხვა ქალაქში ცხოვრების მოწმობის მიცემაზედ. ამ საგნის გამო ქალაქის გამგეობათა უკანონო საქციელზედ საჩივარი უნდა მიიღონ გუბერნატორებმა, ხოლო სათემო გამგეობათა უკანონო საქციელზედ — საგლეხო პრისუტსტვიებმა.

„Бирж. Вѣд."-ი ამბობს, 4 აპრილს ფინანსთა სამინისტროში იქნება თათბირი ჩაით მოვაჭრეებისა ბანდეროლის თაობაზედაო.

სახელმწიფო საბჭოში შეუტანიათ პროექტი, რომ ქალაქის სასარგებლოდ უნდა დარჩეს იმ ქალაქის მკვიდრთა ქონება, რომელნიც ისე ამოწყდებიან, რომ მემკვიდრე არავინ ჰყავნდეთო.

გამოცხადებულ იქმნა უბედურ შემთხვევათაგან დამზღვევ «დახმარების» საზოგადოების წესდება. ამ საზოგადოებას ძირის ფულად 500,000 მანათი აქვს. საზოგადოების მმართველობა პეტერბურგი იმყოფება.

ბერლინი. მის შემდეგ, რაც თ. ბისმარკს თათბირი ჰქონდა იმპერატრიცასთან და კანცლერმა მოხსენება წაუკითხა იმპერატორს, საკანცლერო კრიზისი დროებით აცილებულია.

პარიჟი. ბულანჟეს მომხრე დეპუტატები თავის პროკლამაციაში ჩრდილოეთის დეპარტამენტის ამომრჩე- [illegible]

და პალატაში სადემოკრატო მიმართულების ცვლილებათა შემოღებას ეცდებაო.

კიროტი. სოფიიდგან იუწყებიან, რომ საშუალებაა მიღებული, რათა უვნებელად დაცულ იქმნას პრინცი კობურგისა. ღამ-ღამობით დარაჯებს ბლომად აყენებენ. ბევრს სამაზრო და სხვა ქალაქებში დაპატიმრებულ იქმნენ სამხედრო კაცნი.

პარიჟი. მობეჟში გამოაცხადეს ბულანჟეს კანდიდატობა. ტურკუენსა და არმანტიერში ამომრჩეველთ ერთი ყვირილი და სიმღერა ჰქონდათ და სცდილობდნენ ბულანჟეს მოპირისპირედ კანდიდატი ეპოვნათ, მაგრამ ვერავის ვერ დაადეს ხელი. გაზ „Republique Françe" ამბობს, რომ ბულანჟე მარტოდ-მარტო შეებრძოლება პარლამენტსა და ამიტომ დაიცავთ რესპუბლიკაო.

ბელგრადი. აქ რისტიჩის ხელმძღვანელობით დაარსდა «რუსეთის საზოგადოება», რომელსაც საგნადა აქვს ეწინააღმდეგოს ავსტრი-ვენგრიის ოინებს სერბიაში.

ვენა. შედგენილი იქმნა სამხედრო კანონ-პროექტი, რომელიც დღეს წარუდგინეს პარლამენტსა. კანონ-პროექტი ამბობს: კანონად უნდა დაიდვას, რომ ჯარის - კაცნი პირველის ზურგის ლაშქრისა და აგრეთვე სამის ხარისხის მცირე-წლოვანნი სადარიგო მხედრობისა შეიძლებოდეს მოწოდებულ იქმნან, თუ საჭირო იყოს, იმპერატორის ბრძანებისამებრ, სამსახურად იმ ვადით, რა ვადითაც სათანადო იქნებაო.

2 აპრილი

პეტერბურგი. „Новое Время" იუწყება, რომ სახელმწიფო საბჭომ ამ მოკლე ხანში უნდა განიხილოს: მიეცეს თუ არა გლეხებს ნება თავიანთის მამულების გაყიდვისა.

ლ. ე. ნობელი, დამაარსებელი სანავთო ამხანაგობისა, გარდაიცვალა 31 მარტს კანნაში, საფრანგეთში.

პეტერბურგის ბირჟა: ტფილისისა და ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკების გირავნობის ფურცლები 98 მანეთად იყიდება; ტფილისის საქალაქო ნდობის საზოგადოების ობლიგაციებში იძლევიან 83 მანეთს.

ბერლინი. «ჩრდილო-გერმანიელთა საყოველთაო გაზეთი» დაბეჯითებით ამბობს, რომ დღეის იქით საკანცლერო კრიზისის შიში არ არისო. იმპერატორს სულთქმა გაუჭირდა და ამიტომაც საჭირო შეიქმნა სასუნთქებელის მილის გამოცვლა. სხვაფრივ-კი იმპერატორი კარგად არის. გუშინ იმპერატორი და იმპერატრიცა წაბრძანდნენ ეტლით ბერლინში.

ის გარემოება, ვითომ რუსეთმა უარ-ჰყო სესხი, რომელსაც პარიჟიდგან ჰპირდებოდნენო, აქ საბირჟო წრეებში საბუთად მიაჩნიათ, რომ რუსეთის საფინანსო მდგომარეობა მეტად სანუგეშოაო; შემდეგშიაც საპოლიტიკო საქმეების განკარგების გამო საფინანსო მდგომარეობა რუსეთისა კიდევ უფრო მომჯობინდება.

პეტერბურგის ბირჟა 1 აპრილი

| | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო. | — ,, | — ,, | 9 53 |
| ტამოჟნის კუპონები . | — ,, | — ,, | $190^1/_2$ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . . . | — ,, | — ,, | 1 4 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — ,, | — ,, | $269^1/_2$ |
| —მეორისა . . . . . | — ,, | — ,, | $245^1/_2$ |
| გირავნობ. ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| [illegible] | — ,, | — ,, | — ,, |

## სია საქმეებისა,

რომელიც უნდა განიხილოს საბჭომ ორშაბათს, 4 აპრილს.

1) მოხსენება გამგეობისა, რომ მოწმობები მიეცეთ და ვაჭრობაც დაინიშნოს ცალიერ ადგილისა (უეჭველად 36 ხმოსანი უნდა დაესწროს).

2) მოხსენება გამგეობისა იმ 6 კაცის საჩივარის გამო, რომელნიც ამბობდნენ, რომ 1885 წლის აღწერით ძალიან ძვირად იქმნა დაფასებული ჩვენი მამულიო.

3) მოხსენება გამგეობისავე სასეირნო ბაღის გამართვის შესახებ ავლაბრისა და მთაწმინდის მოედნებზედ.

4) აზრი ხმ. ვეისენგოფისა მადათოვის კუნძულის შესახებ.

5) მოხსენება სამოსწავლო კომიტეტისა, რომ გავმართოთ საკვირაო სკოლები ხნიერ მოსწავლეთათვისაო.

6) მოხსენება გამგეობისა, რომ დავაარსოთ ტფილისში სავაჭრო და სამანუფაქტურო კომიტეტიო.

7) მოხსენება სამოსწავლო კომიტეტისა, რომ ქალების საფროპესიონალო სახელოსნოსთან გავმართოთ საღამოს კურსები ხნიერ ქალებისათვისაო.

8) მოხსენება გამგეობისა, რომ მამულის დასაფასებელ გარდასახადს ნუღარ გამოვართმევთ ალექსანდრე მელიქოვსა, რადგან სამაგიეროდ მიწას გვითმობს ქუჩის გასაყვანადაო.

9) წინადადება გუბერნატორისა, რომ წესიერს მდგომარეობაში უნდა იქმნეს მოყვანილი არსენალის გზა-ტკეცილი.

10) აზრი ხმ. ივანენკოსი, რომ ხარჯთა აღრიცხვის სიაში ჩაიწეროს ის ფულიცა, რომელსაც ინტენდანტსტვას ვაძლევთ ვალშიო.

11) თხოვნა ყვავილის ამცრელთა, რომ მოგვეცეს 1887 წლის ჯამაგირიო.

12) მოხსენება გამგეობისა იმის შესახებ, რომ ნიხრი ეტლებისა შევამციროთ ღოღზე წასვლისათვისაო.

13) ამორჩევა სამის კანდიდატისა გამგეობის წევრის თანამდებობაზედ.

14) ამორჩევა კანდიდატებისავე დამფასებელთა თანამდებობაზედ.

15) აზრი ხმ. ბებუთოვისა მუშტაიდის მორწყვის თაობაზედ.

16) მოხსენება სამოსწავლო კომიტეტისა, რომ სასწავლებელში მკურნალი ვიყოლიოთო.

17) ანგარიში ქალაქის თავისა საზოგადო სამხედრო ბეგარის შემოღების წესდებასა და პირველად ჯარში გასაწვევთა გაყვანაზედ.

18) უწყება სენატისა ქალაქის თავის საჩივარზედ, რომ საგუბერნიო პრისუტსტვიამ დაადგინა, ექიმს გლავაცკის ქალაქის ქონებიდგან პენსია დაენიშნოსო.

19) მოხსენება გამგეობისა იმის შესახებ, რომ ალექსანდრეს ბაღი ქალაქს უნდა გარდმოეცესო.

20) თხოვნა ნამჩენკოსი იმ ერთს ნაწილს მიწაზედ, რომელიც ქალაქისაგან უყიდნია 1 ნოემბრის ვაჭრობაზედ.

21) თხოვნა სოლომონ ბადალაშვილისა, რომ ქალაქის გამგეობა არხის შესახებ უკანონოდ მოქმედობსო.

22) თხოვნა ვასილ გაბაშვილისა, რომ უკანონოდ დამაწერეს დასაფასებელ გარდასახადის შემოსატანი ფულიო.

23) თხოვნა არტემ ლაზაროვისა, რომ 1885 წლის მამულის დასაფასებელი გარდასახადი შემიმცირეთ და ამას გარდა ძველ დასაფასებელ გარდასახადის შემოსატანი ფული მაპატიეთო.

24) თხოვნა ივანე გვანცალაძისა, რომ ჩემი სახლები განთავისუფლებულ იქმნას დასაფასებელ გარდასახადისაგანაო.

25) თხოვნა სოფიო კვეზერელ-კოპაძისა, რომ 1885 წლის აღწერით ჩემი სახლები ძალიან ძვირად იქმნა დაფასებულიო.

დასაწყისი საღამოს $7^1/_2$ საათზედ.

გორსა და მეჯვრისხევს
შუა მუშაობს

**დილიჟანი**

ივანე კუსრაშვილისა.

მეჯვრისხევიდამ გამოდის დილის 8 საათზედ და ჩამოდის გორში 10 საათზედ; გორიდამ გადის ნაშუადღევს 4 საათზედ და მიდის მეჯვრისხევს 6 საათზედ. ფასი კაცზე მეჯვრისხევიდამ გორამდე ორი აბაზია, გორიდამ მეჯვრისხევამდე — ათი შაური, გორიდამ ხელთუბნამდე — ერთი აბაზი, ხელთუბნიდამ მეჯვრისხევამდეც — ერთი აბაზი. მეჯვრისხევში დგება დილიჟანი სოსიკო ილურიძის დუქნის წინა, გორში — არტილერიის ყაზარმის გვერდზედ, ივან ფადეიჩის ადგილში, [illegible] დუქნის წინ. 2—2

Доз. цен. Тиф., 2 апреля 1888 г. Типографія А. А. Михельсона, Гол. Проспектъ въ д. Читахова. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე